განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„სენაკის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2027 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის შესაბამისად, 2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2027-2030 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2027 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2027 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,9 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155^1 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით შეესაბამება საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2027 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 24305,0 ათას ლარს შეადგენს. 2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2027 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2093,8 ათასი ლარით (9,4%-ით).

2027 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 22005,0 ათასი ლარით;

2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 9,4 %-ით (1893,8 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2300,0 ათას ლარს;

2027 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 564,1 ათასი ლარამდე, მათ შორის:

სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები მიზნობრივი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 564,1 ათასი ლარი.

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 559,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

✓ პროცენტები 100,0 ათასი ლარი.

✓ რენტა 459,0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 285,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

✓ სანებართვო მოსაკრებლები 100,0 ათასი ლარი;

✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 150,0 ათასი ლარი;

✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 35,0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1622,3 ათასი ლარის ოდენობით;**

- **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 200,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

✓ მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 200,0 ათასი ლარი;

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 320,0 ათ. ლარს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ადგილობრივი გადასახდელების მოცულობა შეადგენს 28936,2 ათას ლარს (2026 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 1437,2 ათ.ლარით).

2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნიშნული გამომდინარეობს 2027 წლის სახლემწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2027 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1735 ლარის ოდენობით ნაცვლად 1 600 ლარისა.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 4498.0 ათასი ლარი;**

  მათ შორის:

  - ✓ გზების რეკონსტრუქცია და მოვლა- შენახვა 500,0 ათასი ლარი;
  - ✓ გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 1910,0 ათასი ლარი;
  - ✓ ბინათმშენებლობა- 50,0 ათასი ლარი;
  - ✓ სოფლის მეურნეობის ღონისძიებები- 78,0 ათასი ლარი;
  - ✓ საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურება 500,0 ათასი ლარი;
  - ✓ კეთილმოწყობის ღონისძიებები- 500,0 ათასი ლარი;
  - ✓ სასაფლაოების მოვლა-პატრონობა -210,0 ათასი ლარი;
  - ✓ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა-100,0 ათასი ლარი;
  - ✓ სამოქალაქო ბიუჯეტი - 150,0 ათასი ლარი;
  - ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ფონდის თანადაფინანსება 500,0 ათასი ლარი;

- **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2687,6 ათასი ლარი;**

  მათ შორის:

  - **ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანა- 1865,6 ათასი ლარი;**
  - **ქალაქის მწვანე საფარის შექმნა და არსებულის მოვლა-პატრონობა და კეთილმოწყობა- 822,0 ათასი ლარი;**

- **განათლება - 5670,0 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა - 5490,0 ათასი ლარი;
  - განათლების ღონისძიებების პროგრამა - 140,0 ათასი ლარი;
  - სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა -40,0 ათასი ლარი;
- **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტული ღონიძიებები - 5178,0 ათასი ლარი**

  მათ შორის:

  - სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2228,0 ათასი ლარი;
  - კულტურის განვითარების ხელშეწყობა -2744,5 ათასი ლარი;

- ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა -55,5 ათასი ლარი;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა- 80,0 ათასი ლარი;
- საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა- 70,0 ათასი ლარი;

➢ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 3696,9 ათასი ლარი,**

მათ შორის:

- **ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები- 1317,5 ათასი ლარი გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამები:**
  - ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება- 563,5 ათასი ლარი;
  - ✓ ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსება და თანადაფინანსება- 600,0 ათასი ლარი;
  - ✓ მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება -140,0 ათასი ლარი;
  - ✓ დაწყებითი კლასის მოსწავლეთა ჯანმრთელობის პროფილაქტიკური სკრინინგის გამოვლენილიშემთხვევების მართვა -14,0 ათასი ლარი;

➢ **სოციალური დაცვის პროგრამები - 2379,4 ათასი ლარი. გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამები:**

- მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა - 542,0 ათასი ლარი;
- მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა - 250,0 ათასი ლარი;
- ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა - 18,0 ათასი ლარი;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება -20, 4 ათასი ლარი;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - 220,0 ათასი ლარი;
- ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა - 40,0 ათასი ლარი;
- სოციალური ადაპტაციისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პროგრამა- 110,0 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა - 120,0 ათასი ლარი;
- სოციალური ღონისძიებების პროგრამა -60,0 ათასი ლარი;
- თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა- 70,0 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამა - 480,0 ათასი ლარი;
- დღის ცენტრ ა(ა)იპ „ლაზარე-2015“ თანადაფინანსება - 12,0 ათასი ლარი;
- პროექტი „საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ თანადაფინანსება 50,0 ათასი ლარი;
- პროექტი „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“ თანადაფინანსება - 90,0 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფა 40,0 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა -237,0 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება-20,0 ათასი ლარი;

- **მმართველობა და საერთო დანიშნულება -7205,7 ათასი ლარი,**

  მათ შორის:

  - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო- 2258,9 ათასი ლარი;
  - სენაკის მუნიციპალიტეტის მერია - 4845,8 ათასი ლარი;
  - სარეზერვო ფონდი - 100,0 ათასი ლარი;
  - წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი- 1,0 ათასი ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება

/ათასი ლარი/

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2027 წლის გეგმა
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულება**	**7205,7**
01 01	**საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა**	**7104,7**
01 01 01	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2258,9
01 01 02	სენაკის მუნიციპალიტეტის მერია	4845,8
01 02	**საერთო დანიშნულების ხარჯები**	**101,0**
01 02 01	**სარეზერვო ფონდი**	**100,0**
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	1,0
02 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**4498,0**
02 01	გზების რეკონსტრუქცია და მოვლა- შენახვა	500,0
02 02	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1910,0
02 03	ბინათმშენებლობა	50,0
02 04	სოფლის მეურნეობის ღონისძიებები	78,0
02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	500,0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	500,0
02 07	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	210,0
02 09	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	100,0
02 10	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0
02 11	სამოქალაქო ბიუჯეტი	150,0
02 12	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ფონდის თანადაფინანსება	500,0
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2687,6**
03 01	ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანა	1865,6

03 02	ქალაქის მწვანე საფარის შექმნა, არსებულის მოვლა-პატრონობა და კეთილმოწყობა	822,0
04 00	**განათლება**	**5670,0**
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	5490,0
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	0,0
04 04	განათლების ღონისძიებების პროგრამა	140,0
04 06	სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა	40,0
05 00	**კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**	**5178,0**
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**2228,0**
05 01 01	სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა	1242,0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	780,0
05 01 03	სპორტული ღონისძიებების პროგრამა	206,0
05 01 04	სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	0,0
05 02	**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**	**2744,5**
05 02 01	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	1500,0
05 02 02	ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში	759,0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების პროგრამა	485,5
05 02 05	კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	0,0
05 03	**ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა**	**55,5**
05 05	**რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**	**80,0**
05 06	**საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა**	**70,0**
06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**3696,9**
06 01	**ჯანმრთელობის დაცვა**	**1317,5**
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	563,5
06 01 02	ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამა	600,0
06 01 03	მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	140,0
06 01 04	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა	14,0
06 02	**სოციალური დაცვა**	**2379,4**
06 02 01	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	542,0
06 02 02	მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა	250,0
06 02 03	ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა	18,0
06 02 04	კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება	20,4
06 02 05	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	220,0
06 02 06	ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა	40,0
06 02 07	სოციალური ადაპტაციისა და ძალადობისა მსხვერპლთა პროგრამა	110,0
06 02 08	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა	120,0

06 02 09	სოციალური ღონისძიებების პროგრამა	60,0
06 02 10	თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა	70,0
06 02 11	სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობრების გაუმჯობესება	480,0
06 02 12	დღის ცენტრ აიპ „ლაზარე-2015“ თანადაფინანსება	12,0
06 02 13	პროექტი ,,საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ თანადაფინანსება	50,0
06 02 14	პროექტი „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“ თანადაფინანსება	90,0
06 02 15	სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფა	40,0
06 02 16	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა	237,0
06 02 17	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება-	20,0
	სულ	**28936,2**

სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 7205,7 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 678,0 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა -2687,6 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 3820,0 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა -1317,5 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია- 5178,0 ათასი ლარი;
- განათლება - 5670,0 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 2379,4 ათასი ლარი;

„სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2027-2030 წლები);
2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტი.
3. განმარტებითი ბარათი.
4. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ (2027 წელი)
5. ინფორმაცია კაპიტალური პროექტების შესახებ (2027 წელი).
6. სენაკის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბადრი ქუთელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნანა ზარანდია

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დონარა ალანია